



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. ში.

ფრიდონ შენგელია

„30“ 11 2015 წელი

ეგზ. N1

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის
2012-2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში *67/00*

შინაარსი

1. შესაბამისობის აუდიტის საფუძვლები	3
2. შემოკლებები	4
3. ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	5
4. გამოვლენილი გარემოება	7
4.1 ბიუჯეტის დაგეგმვისას არსებული ხარვეზები	7
4.2 სარეზერვო ფონდიდან თანხების მიმართვა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.	8
4.3 ღონისძიებების ფარგლებში გამოყოფილი თანხების აუთვისებელი ნაწილის მიმართვა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.	8
4.4 ცხრილის სახით წარმოდგენილია სულ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების პროცენტული თანაფარდობა დამტკიცებულ ბიუჯეტთან:	10
5. რეკომენდაციები:	10

1. შესაბამისობის აუდიტის საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსური ოპერაციებისა და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელიც ასახულია 2012, 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდაორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2012-2013-2014 წლების საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება;
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N2439 ბრძანება;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; აპარატის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე. პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული კანონშეუსაბამოები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება და ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების უკეთ გაგებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. აუდიტის ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშში ახსნილი უარყოფითი გავლენები, შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს ყველა იმ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ აღვნიშნავთ, რომ აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ შესაძლო უარყოფითი შედეგების ანგარიშში ასახვაზე, რომელიც მის მიერ ანგარიშში დაფიქსირებული აღმოჩენილი ნაკლოვანებებიდან შესაძლოა გამომდინარეობდეს.

2. შემოკლებები

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - აპარატი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ - საბიუჯეტო კოდექსი;

3. ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 იანვრის №33 ბრძანებულების შესაბამისად და მისი მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დიასპორას შორის ურთიერთობის ხელშეწყობა და ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა.

აპარატის ამოცანაა ფართო სპექტრის პირდაპირი კონტაქტებისა და კავშირების დამყარება და გაფართოება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ საქართველოსთან მეგობრობით ან საქართველოთი დაინტერესებულ ქართველოლოგიურ, სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივ ცენტრებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან, ფონდებთან, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, სიძველეების, განძების, ხელნაწერების, არქივებისა და სხვა ისტორიული კულტურული ფასეულობების მოძიება, შეგროვება და შესაბამის მოლაპარაკებებში მონაწილეობა, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა და ა.შ.

აპარატს ხელმძღვანელობს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. 2012 წელს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრია მირზა (პაპუნა) დავითაია, 2012 წლის ოქტომბრიდან - კონსტანტინე სურგულაძე და 2014 წლის ივნისიდან - გელა დუმბაძე.

აპარატისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებები და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული გეგმით	საკასო ხარჯი
სულ	850 000	1 885 000	1 755 102
ხარჯები	830 000	1 855 000	1 733 984
შრომის ანაზღაურება	483 400	543 400	520 013
არაფინანსური აქტივების ზრდა	20 000	30 000	21 118

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საბიუჯეტო კლასიფიკაცია	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული გეგმით	საკასო ხარჯი
სულ	850 000	1 372 300	1 344 309
ხარჯები	830 000	1 361 800	1 335 122
შრომის ანაზღაურება	483 400	525 400	525 400
არაფინანსური აქტივების ზრდა	20 000	10 500	9 187

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული გეგმით	საკასო ხარჯი
სულ	900 000	1 260 484	1 254 701
ხარჯები	880 000	1 184 484	1 179 074
შრომის ანაზღაურება	484 000	529 000	529 000
არაფინანსური აქტივების ზრდა	20 000	76 000	75 627

აპარატის წარმომადგენლობითი ხარჯის დინამიკა წლების მიხედვით

წარმომადგენლობითი ხარჯები	2012 წ	2013 წ	2014 წ
ოფიციალური სადილის ხარჯები	62 485	16 620	8 438
ავიაბილეთების შესყიდვა (სტუმრებისათვის)	79 848	8 866	17 324
სასტუმროს ხარჯები (სტუმრებისათვის)	103 489	4 540	12 551
საჩუქრების შეძენის ხარჯები	30 245	8 209	0
სხვა ხარჯები	21 8353	10 4813	6 330
სულ	494 422	14 3050	44 643

4. გამოვლენილი გარემოება

4.1 ბიუჯეტის დაგეგმვისას არსებული ხარვეზები

ა) დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებები

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქართული დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად აპარატისთვის 2012 წელს¹ გამოყოფილია 265 000 ლარი (ათვისებულ იქნა 206 771 ლარი), 2013 წელს² - 232 300 ლარი (ათვისებულ იქნა 122 233 ლარი), ხოლო 2014 წელს³ - 150 000 ლარი (ათვისებულ იქნა 135 484 ლარი, აუთვისებელი რესურსი 14 516 ლარის ოდენობით მიმართულია მთავრობის სარეზერვო ფონდში).

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად⁴, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფას იმ გადასახდელების დაფინანსებით, რომელთა გათვალისწინება ობიექტური გარემოებების გამო სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელია.

საყურადღებოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით⁵ 27 მაისი გამოცხადებულია დიასპორის დღედ და 2007 წლიდან იგი ყოველწლიურად აღინიშნება საქართველოში. აღნიშნული ღონისძიების ყოველწლიური ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯად და შესაბამისად უნდა ასახულიყო „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება აპარატის მიერ გათვალისწინებული იყო საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და პრიორიტეტების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ ინფორმაციებში.

ბ) მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა ხდება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც არ ატარებენ სისტემატიურ ხასიათს, თუმცა მათი მნიშვნელობიდან, მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდინარე არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯად. შესაბამისად, შესაძლებელია მათი მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების

¹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N380 განკარგულება

² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N435 განკარგულება

³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N688 განკარგულება

⁴ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი

⁵ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 თებერვლის N127 ბრძანებულება

მხარდამჭერი ღონისძიებების დასაფინანსებლად აპარატისათვის 2012 წელს⁶ გამოყოფილია 400 000 ლარი, 2013 წელს⁷ - 400 000 ლარი, ხოლო 2014 წელს⁸ - 128 000 ლარი.

4.2 სარეზერვო ფონდიდან თანხების მიმართვა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად 2012 წელს⁹ გამოყოფილია 100 000 ლარი (ათვისებულია 86 725 ლარი), ხოლო 2014 წელს¹⁰ - 117 000 ლარი (ათვისებულია 116 894 ლარი).

4.3 ღონისძიებების ფარგლებში გამოყოფილი თანხების აუთვისებელი ნაწილის მიმართვა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად

- 2012 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹¹ დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით გამოყოფილი 265 000 ლარიდან აუთვისებელი 58 229 ლარი მთავრობის განკარგულებით¹² მიმართულ იქნა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, თუმცა აღნიშნული თანხა არ არის გახარჯული აპარატის მიერ.

- 2012 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹³ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 400 000 ლარიდან აუთვისებელი 153 276 ლარი მთავრობის განკარგულებით¹⁴ მიმართულ იქნა აპარატის ხარჯების დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაშიც ვერ მოხერხდა აპარატის მიერ 42 820 ლარის ათვისება.

- ანალოგიურად, 2013 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹⁵ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 400 000 ლარიდან აუთვისებელი 70 000 ლარი მთავრობის

⁶ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივლისის N1465 განკარგულება

⁷ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N975 განკარგულება

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N1503 განკარგულება

⁹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივლისის N1465 განკარგულება

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N1503 განკარგულება

¹¹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N380 განკარგულება

¹² საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ნოემბრის N1943 განკარგულება

¹³ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივლისის N1465 განკარგულება

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ნოემბრის N1943 განკარგულება

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N975 განკარგულება

განკარგულებით¹⁶ მიმართულ იქნა აპარატის ხარჯების დასაფინანსებლად (ათვისებულია 63 588 ლარი).

2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით¹⁷ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დასაფინანსებლად

გამოყოფილი 128 000 ლარიდან აუთვისებელი 20 000 ლარი მთავრობის განკარგულებით¹⁸ მიმართულ იქნა აპარატის ხარჯების დასაფინანსებლად (აპარატის მიერ ათვისებულია სრულად).

ცხრილის სახით წარმოდგენილია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მიმართული იმ თანხების ათვისების მდგომარეობა, რომელიც გამოყოფილი იყო სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

წლები	2012	2013	2014
სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	211 505	70 000	20 000
აუთვისებელი ნაწილი	101 049	6 412	0
პროცენტული თანაფარდობა	47.8 %	9.1 %	0%

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ 2012-13 წლებში ღონისძიების ფარგლებში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების აუთვისებელი ნაწილი მიიმართებოდა აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, თუმცა აპარატის მიერ ვერ ხერხდებოდა აღნიშნული რესურსის სრულად ათვისება.

ცხრილის სახით წარმოდგენილია სულ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ მონაცემები:

წლები	2012	2013	2014
დამტკიცებული ბიუჯეტი	850 000	850 000	900 000
სარეზერვო ფონდი (აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირება)	311 505	70 000	117 000
სარეზერვო ფონდის პროცენტული თანაფარდობა დამტკიცებულ ბიუჯეტთან	36.6%	8.2%	12.9%

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1927 განკარგულება

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N1503 განკარგულება

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 დეკემბრის N2320 განკარგულება

აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილმა თანხებმა დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით 2012 წელს შეადგინა - 36.6 %, 2013 წელს - 8.2 %, ხოლო 2014 წელს - 12.9 %, რაც მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზზე.

4.4 ცხრილის სახით წარმოდგენილია სულ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების პროცენტული თანაფარდობა დამტკიცებულ ბიუჯეტთან:

წლები	2012	2013	2014
დამტკიცებული ბიუჯეტი	850 000	850 000	900 000
სარეზერვო ფონდი	1 035 000	522 300	360 484
სარეზერვო ფონდის პროცენტული თანაფარდობა დამტკიცებულ ბიუჯეტთან	121.7%	61%	40%

სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოყოფილია ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯს და მისი ასიგნებებში გათვალისწინება შესაძლებელი იყო დაგეგმვის ეტაპზე (გარდა რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფი მემორიალის გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯებისა¹⁹). აღნიშნული საყურადღებოა, იმის გათვალისწინებით, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებზე არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი.

5. რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია მოხდეს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის სრულყოფილი დასაბუთება;
- აუცილებელია, აპარატის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული

¹⁹ პარლამენტის 2011 წლის 1 ივლისის N4989-რს დადგენილება

სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზეცაა შესაძლებელი.

უფროსი აუდიტორი

ნინო ამირანაშვილი 

უფროსი აუდიტორი

მანანა ღვინაძე 

უფროსი აუდიტორი

ნანა ვაჩაძე 